ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/05

დაბა ქედა, **24 აპრილი, 2026 წელი.**

სხდომა დაიწყო: 15:05 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 16:00 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 24 წევრიდან ესწრებოდა 21.
სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
სხდომას ესწრებოდნენ:
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ნაზიმ ჩხეიძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ამირან დევაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარე;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ზვიად არძენაძე -საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ანზორ გოგიაშვილი-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მერაბ ტაკიძე-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
არკადი საკანდელიძე-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
რამაზ თავდგირიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა“-ს თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
დურმიშხან შავიშვილი-საკრებულოს წევრი;
რამაზ ალიქაძე-საკრებულოს წევრი;
მურად დიასამიძე-საკრებულოს წევრი;
გივი ლორთქიფანიძე-საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
ჯამბულ შარაბიძე-საკრებულოს წევრი;
თენგიზ ყადიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა“-ს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/05 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

24 აპრილი, 2026 წელი

#	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის პირველი მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ნაზიმ ჩხეიძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	რამაზ თავდგირიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მერაბ ტაკიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	ანზორ გოგიაშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	არკადი საკანდელიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ზვიად არძენაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
18	თენგიზ ყადიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
19	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
20	დურმიშხან შავიშვილი	საკრებულოს წევრი	
21	მურად დიასამიძე	საკრებულოს წევრი	
22	გივი ლორთქიფანიძე	საკრებულოს წევრი	
23	რამაზ ალიქაძე	საკრებულოს წევრი	
24	ჯამბულ შარაბიძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ სხდომაზე დამსწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 აპრილის №01-06/05 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის საწინააღმდეგოდ განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებ(ებ)ის (პროექტ(ებ)ის) დაფინანსების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი წინადადების მოწონების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი: გენად ანანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2026 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: გულადი წითელაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის შესყიდვების განყოფილების უფროსი: გივი დევაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ 2025 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი: გენად ანანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

5. შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ 2025 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

მომხსენებელი: შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს დირექტორი: სილოვან ბერიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 აპრილის №01-06/05 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

1. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის საწინააღმდეგოდ განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებ(ებ)ის (პროექტ(ებ)ის) დაფინანსების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი წინადადების მოწონების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა გენად ანანიძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის საწინააღმდეგოდ განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებ(ებ)ის (პროექტ(ებ)ის) დაფინანსების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი წინადადების მოწონების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95260281-95, 29.01.2026 წელი) და განმარტა, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების მიღება, რომლის საფუძველზეც ხდება ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის საწინააღმდეგოდ განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებ(ებ)ის (პროექტ(ებ)ის) დაფინანსების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი წინადადების მოწონება, თანდართული დანართის შესაბამისად, კერძოდ:

1. დაბა ქედა, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე (ქედა-მერისი) დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა, პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე) შეადგენს 472098.88 ლარს;

2. სოფელი გოგიაშვილები დავით გოგიაშვილის სახლის მიმდებარედ საავტომობილო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა, პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე) შეადგენს 86096.32 ლარს;

3. სოფელ ძენწმანში ვერა სურმანიძის საცხოვრებელ სახლთან მისასვლელი საავტომობილო გზის მოწყობა, პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე) შეადგენს 97952.82 ლარს;

4. სოფელ დანდალოში ამირან ბარამიძის სახლთან მისასვლელ საავტომობილო გზაზე მილხიდის მოწყობა, პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე) შეადგენს 325699.26 ლარს.

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის საწინააღმდეგოდ განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებ(ებ)ის (პროექტ(ებ)ის) დაფინანსების თაობაზე ფონდიდან მოთხოვნილი თანხა სულ ჯამში შეადგენს 981847.28 ლარს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

(განკარგულება N:გ-95.95261145; 24.04.2026 წელი).

2. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2026 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა გულად წითელაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2026 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95261133-95, 23.04.2026 წელი.) და წარმოადგინა 2026 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამა შემდეგი სახით:

N	ტერიტორიული	სოფელი	მოსახლეობის რაოდენობა	გამოყოფილი თანხა	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება	შენიშვნა
1	დანდალო	დანდალო	347	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
2		ბალაძეები	116	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
3		გოგიაშვილები	194	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
4		მოსიაშვილები	169	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
5		ტაკიძეები	186	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
6		ხარაულა	639	16000	მზა ბეტონის შეძენა	16000	
7		ჯალაბაშვილები	310	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
			ჯამი	80000		80000	
8	ცხმორისი	ცხმორისი	600	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
9		ახო	594	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
10		გეგელიძეები	428	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
11		გობრონეთი	251	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
12		კოკოტაური	545	16000	მზა ბეტონის შეძენა	16000	
13		ჩეტკიძეები	187	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
			ჯამი	86000		86000	
14	წონიარისი	წონიარისი	499	16000	მზა ბეტონის შეძენა	16000	
15		აბუქეთა	279	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
16		ვარჯანისი	185	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
17		კანტაური	76	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
18		საბადური	57	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
19		ტიბეთა	154	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
20		სასადილოყელი	17	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
			ჯამი	78000		78000	
21	ზვარე	ზვარე	201	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
22		ვაიო	409	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
23		ზესოფელი	205	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
24		კვაშტა	279	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
25		სირაბიძეები	252	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
			ჯამი	64000		64000	
26	დაბა ქედა	არსენაული	89	10000	სასაფლაოების შემოღობვა	10000	
27		აქუცა	262	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
28		გულები	235	12000	მზა ბეტონის შეძენა	8100	
					გარე განათების მოწყობა	3900	
29		ზენდიდი	297	12000	ბილიკის მოწყობა	12000	
30		კორომხეთი	160	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
31		ორცვა	232	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
32		ქედა	149	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
33		შევაბური	89	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
34		ცხემნა	156	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
35		ძენწმანი	197	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
36		ხუნკუდა	122	10000	სასმელი წყლის ავზის მშენებლობა	10000	
			ჯამი	118000		118000	
37	/ზ	ჯ/მაისი	525	16000	მზა ბეტონის შეძენა	16000	

39		კოლოტაური	473	16000	გარე განათების მოწყობა	10000	
					ელექტრო წისქვილის რემონტი	6000	
40		ქვედა აგარა	109	10000	გარე განათების მოწყობა	7300	
					მზა ბეტონის შეძენა	2700	
			ჯამი	52000		52000	
41	მახუნცეთი	ქვედა მახუნცეთი	439	16000	მზა ბეტონის შეძენა	9000	
					გარე განათების მოწყობა	7000	
42		ზედა გზუბზუ	306	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
43		ზედა მახუნცეთი	203	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
44		ზუნდაგა	299	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
45		ქვედა გზუბზუ	261	12000	საცალფეხო ბილიკის მოწყობა	12000	
46		ქოსოფელი	72	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
47		მილისი	123	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
48		ნამლისევი	158	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
49		უჩხითი	260	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
			ჯამი	106000		106000	
50	დოლოგანი	დოლოგანი	417	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
51		ჭალახმელა	162	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
52		ჭინკაძეები	202	12000	სასმელი წყლის სისტემისათვის 5 ტონიანი პლასტმასის ავზისა და 50 მმ-იანი მილების შეძენა	12000	
			ჯამი	38000		38000	
53	ოქტომბერი	ოქტომბერი	247	12000	მზა ბეტონის შეძენა	2000	
					გარე განათების მოწყობა	10000	
54		აგოთა	122	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
55		გოგინიძეები	95	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
56		კუჭულა	201	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
57		მეძიბნა	188	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
			ჯამი	54000		54000	
58	მერისი	მერისი	300	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
59		გარეტყე	89	10000	საპირფარეშოს მშენებლობა	10000	
60		გუნდაური	218	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
61		ინაშარიძეები	200	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
62		ნამონასტრევი	60	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
63		სილიბაური	117	10000	მზა ბეტონის შეძენა	5000	
					გარე განათების მოწყობა	5000	
64		სიხალიძეები	148	10000	მზა ბეტონის შეძენა	5000	
					გარე განათების მოწყობა	5000	
			ჯამი	74000		74000	
			სულ ჯამი	750000		750000	

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ არჩილ გორგილაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს რატომ შეიცვალა სოფელ არსენაულში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2026 წელს დაგეგმილი მოსაცდელის მშენებლობა, სასაფლაოების შემოღობვის პროექტით. აქვე იკითხა, იყო თუ არა ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებული პროექტის შეცვლასთან დაკავშირებით, რაზედაც მომხსენებელმა გენად ანანიძემ განმარტა, რომ არასაკმარისი თანხის გამო ვერ მოხერხდა მოსაცდელის მშენებლობა, რადგან ყველაზე პრიმიტიული მოსაცდელის აშენებისათვის სულ ცოტა 20 000 ლარი იყო საჭირო, ამიტომაც მოხდა წინა წლის მოთხოვნილი პროექტით ჩანაცვლება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

(განკარგულება N:გ-95.95261144; 24.04.2026 წელი).

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში.

მომხსენებელმა გივი დევაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95261051-95, 15.04.2026 წელი.).

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ მადლობა გადაუხადა მერიის შესყიდვების სამსახურის უფროსს ანგარიშის წარდგენისათვის და წარმატებული სამუშაო წელი უსურვა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
დაადგინეს: დადებითად იქნა შეფასებული ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში.

(განკარგულება N:გ-95.95261143; 24.04.2026 წელი).

4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ 2025 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელმა გენად ანანიძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ 2025 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95261063-95, 16.04.2026 წელი.).

აზრი გამოთქვეს:

ფრაქცია,, ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარე ლევან ვერძაძემ კითხით მიმართა მომხსენებელს როდის იგეგმებოდა სოფელ უჩხითში მინი მოედნის მშენებლობა.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს რამდენი ლარი იყო გამოყოფილი 2026 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამების განსახორციელებლად.

საკრებულოს წევრმა რამაზ ალიქაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს სოფელ ოქტომბერში მეწყერის დროს დაზიანებული წყლის სათავე-ნაგებობის აღდგენა როდისთვის იყო დაგეგმილი.

მომხსენებელმა გენად ანანიძემ სოფელ უჩხითში მინი მოედნის მშენებლობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროექტი მომზადებულია და შესაბამისი ფინანსური რესურსის გამოყოფაზე მუშაობდნენ, რაც შეეხება სოფლის მხარდაჭერის პროგრამების განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხას - 750 000 ლარს შეადგენდა.

სოფელ ოქტომბერში მეწყერის დროს დაზიანებული წყლის სათავე-ნაგებობის აღდგენასთან დაკავშირებით მომხსენებელმა განმარტა, რომ ამ პერიოდისთვის არ იგეგმებოდა არაფერი, ამ ეტაპზე სოფლის წყალმომარაგება ხდებოდა უჟანგავი ფოლადისაგან დამზადებული რეზერვუარის გამოყენებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დადებითად იქნა შეფასებული ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ 2025 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

(განკარგულება N:გ-95.95261142; 24.04.2026 წელი).

5. მოისმინეს: შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ 2025 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

მომხსენებელმა სილოვან ბერიძემ საკრებულოს სხდომაზე შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ 2025 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია (წერილის ნომერი: №12-95260971-95, 07.04.2026 წელი.) .

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დადებითად იქნა შეფასებული შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ 2025 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

(განკარგულება N:გ-95.95261141; 24.04.2026 წელი).

შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 16:00 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**